# ჩვენი ცხოვრება

წელიწადი I
1907 წ.

თბილისი
კვირა
4 მარტი

№ 12

ცალკე ნომერი 3 კ.

მიიღება ხელის-მოწერა 1907 წ. ყოველდღიურ
პოლიტიკურ და სალიტერატურო გაზეთ
ჩვენ ცხოვრებაზე
აზიანის და ევდოშვილის მონაწილეობით.

გაზეთი ღირება:

| თბილისში: | | ქალაქ გარეთ: | |
|---|---|---|---|
| წლიურათ . | 5 მ. | წლიურათ . | 6 მ. |
| ექვსი თვით. | 3 „ | ექვსი თვით | 3 „ 50 კ. |
| ერთი თვით. | „ 50 კ. | ერთი თვით | „ 60 „ |

ცალკე ნომერი 3 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება სტამბა „საქმე"-ში. მიხეილის ქ. № 40.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ „Чвени Цховреба". რედაქციის—ელისაბედის ქ. № 88.


## სათათბიროს გარეთ

პეტერბურგი ბრძოლას მოითხოვს. სათათბირო თანდათან მარჯვნივ იხრება. კადეტების ფრაქციამ უარჰყო ამნისტიაზე კითხვის დაყენება,—კონფლიქტს გამოიწვევსო. ცოტა ყოყმანის შემდეგ, მენშევიკი დეპუტატები დაეთანხმნენ კადეტებს,—უკან წაიღეს „ამნისტიის საქმე". სათათბიროს ფრაქციათა რევოლიუციონური ბიურო ვერ შესდგა—ეს კლასიურ პოლიტიკის ღალატიაო,—იძახდნენ მენშევიკი დეპუტატები. სამაგიეროთ, შესდგა ოპოზიციონური ბიურო კადეტებთან ერთათ—ეს, კლასიური პოლიტიკის წარმოებააო,—ამბობენ იგივე მენშევიკი დეპუტატები. ამ კრებაზე სწყდება, რომ „სტოლიპინის მთავრობას" პასუხს ნუ მოვთხოვთ, ვაპატიოთ „საველე-სამხედრო საზიზღრობანიო"! მენშევიკი დეპუტატები არ უერთდებიან ამ გადაწყვეტილებას, მაგრამ მაინც ესწრებიან კადეტების კრებებს პოლონელ ოქტომბრისტებთან ერთათ, სადაც საერთო რეზოლიუციები გამოაქვთ შესახებ ტაქტიკის დარბილებისა. არ ესწრებიან ამ კრებებს მხოლოთ ბოლშევიკი დეპუტატები. ისინი მუშებთან დაიარებიან მიტინგებზე და მათთან ერთად არცხვენ სათათბიროს მოღალატურ ტაქტიკას. დიახ, სათათბირო კიდევ უფრო მარჯვნივ იხრება. და აი, იმ დროს, როცა კადეტები და მათი მაჩანჩალები **მორიგების ტაქტიკას** ანხორციელებენ,—პეტერბურგის მუშები ათასიან მიტინგებს მართავენ ფაბრიკა-ზავოდებში, ზიზღით უყურებენ კადეტების ვაჭრულ ტაქტიკას და ერთხმად შესძახიან დეპუტატ—ალექსინსკის: ბრძოლა ლიბერალ-მონარქიულ ბურჟუაზიას, ბრძოლა კადეტებს, ბრძოლა მორიგების ტაქტიკას,—ჩვენ **ბრძოლის ტაქტიკა** გვინდაო! და როცა დეპუტატი ალექსინსკი მიმართავს: მე ბრძოლისთვის მოგიწოდებთ ამხანაგო-მუშებოო!—მუშები ტაშს სცემენ და დასტურს უკრავენ დეპუტატს.

დიახ, პეტერბურგი ბრძოლას მოითხოვს.

**მოსკოვი იბრძვის.** ხოლო რასაც პეტერბურგი მოითხოვს, მას უკვე ანხორციელებს მოსკოვი. ეკონომიური შეჯახება, რომელიც ამას წინათ ასტყდა მესტამბეებსა და გაფიცულ მუშებს შორის,—დღითი-დღე ღრმავდება და ფართოვდება. მუშები არა ცხრებიან,—ისინი ბრძოლას განაგრძობენ. ოცდა ოთხ თებერვალს საერთო ლოკაუტი გამოაცხადეს შეერთებულმა კაპიტალისტებმა,—ვინც ორ კვირაში არ დაგვითმობს, ის ადგილსაც სრულიათ დაჰკარგავსო. მაგრამ მუშები მაინც არა სცხრებიან, ისინი მაინც იბრძვიან, ისინი მაინც განაგრძობენ თავიანთ შეურიგებელ ტაქტიკას!

მხოლოდ სათათბიროა, რომ დღითი-დღე უკან იხევს და შერიგებას ნიტროლობს...

არა ნაკლები შეჯახება სწარმოებს დღეს მოსკოვის უპრავასა და ტრამვაიზე მომუშავეთა შორის. გაიფიცნენ როგორც ელექტრონის, ისე „კონკის" რკინის გზის მუშები,—ისინი ადამიანურ ცხოვრებას ითხოვენ. გაფიცულებს უერთდებიან „ფორეიტორები", „ჩისტილშჩიკები", „მეტალშჩიკები" და სხვები, ასე რომ ტრამვაიზე მომუშავეთა გაფიცვა საერთო ხასიათს იღებს—მოძრაობა სწყდება მოსკოვში. მუშები აყენებენ მთელ რიგს ღრმა ეკონომიურ მოთხოვნებისას. ასე ანხორციელებს მოსკოვი ბრძოლის ტაქტიკას; ასე ჰგმობს იგი შერიგების ტაქტიკას.

სათათბირო კი მაინც დალალობს!..

## სათათბიროში

**შეჯახებ - შემოჯახება ფრაქციათა შორის.** სახელმწიფო დუმა, ის დუმა, რასაც ზეციურ მანანასავით ელოდნენ ლიბერალურ-ბურჟუაზიული და ნახევრათ დემოკრატიული ჯგუფები და პარტიები, რაშიაც ხედვიდენ ერთათ-ერთ მხსნელს ყოველ გაჭირვებისაგან,—ეს დუმა, ვიმეორებთ, უკვე შეკრებილია და კიდევაც მოქმედობს. ამავე დროს დუმის გარეთ, ხალხში, ყოველივე წინანდებურათ ხდება: ისევ სახრჩობელები, დახვრეტა, კატორგა, ციხე და გადასახლება! ყველა ამაებზე დუმა სდუმს, იგი ხმას არ იღებს. რით აიხსნება ასეთი მოვლენა? თავის დინჯი და მშვიდობიან მოქმედებით მეორე სათათბირომ ქვეყანა გააკვირვა, თითქმის რეაქციონურ წრეებსაც კი არ მისცა მან საბუთი დუმის ოპოზიციონურ და რევოლიუციონურ ფრაქციების საგინებლათ. იმავე დროს კი საიდგანღაც ხმებს ავრცელებენ, რომ მიუხედავათ დუმის ოპოზიციონურ და მემარცხენე ფრაქციების სიდინჯისა და სიმშვიდისა, მას ჩქარა დაითხოვენ, მის „არა-საიმედო" მიმართულების გამოო. რაშია საქმე? რამ დააშინა ამ ზომამდე ან მთავრობა, ან თვით დუმის ოპოზიციონური და რევოლიუციური ელემენტები?

ამ კითხვების გარკვევა ჩვენთვის საძნელო არ არის. ერთის მხრივ, მთავრობა პირველი დუმის გარეკის შემდეგ ბევრათ უფრო რეაქციონური შეიქნა; მეორეს მხრივ ლიბერალურ-ბურჟუაზიული პარტიებიც მას შემდეგ კიდევ უფრო ზომიერები გახდენ და მარჯვნივ გადიხარენ, როგორც მოსალოდნელი იყო; მხოლოდ პროლეტარიატის პარტია, სოც. დემოკრატია შერჩა შეურყეველათ თავის რევოლიუციურ ტაქტიკას; მხოლოდ მას არ უღალატნია თავის დანიშნულებისათვის. როგორც სათათბიროს გარეთ, ისე თვით სათათბიროშიაც, მხოლოდ სოც. დემოკრატია იცავს ხალხის უმრავლესობის ინტერესებს. თავის-თავათ იგულისხმება, რომ ასეთ როლის შესრულების დროს, სოც.-დემოკრატიას წინ ელობება არა თუ მთავრობა თავის შავ-რაზმით, არამედ მონარქიულ-ლიბერალურ-ბურჟუაზიული პარტიები. კადეტების მუხანათურ ტაქტიკას იმ თავითვე შეებრძოლა სოც.-დემოკრატია; მაგრამ იმათ ცბიერობას პირბადე აჰხადა განსაკუთრებით „ბოლშევიკების" შეუბრალებელმა კრიტიკამ. ამ კრიტიკამ აშკარათ დაანახვა ყველას მონარქიულ - ბურჟუაზიული პარტიების კონტრ-რევოლიუციონერობა, ე. ი. მათი მიზანია ებრძოლონ უფრო რევოლიუციას, ე. ი. პროლეტარიატს და მშიერ გლეხობას, ვინემ თვითმპყრობელ მთავრობას. სამწუხაროთ, პარტიის მეორე ნაწილმა, ამხ. მენშევიკებმა, ამ საქმეში მხარი არ დაუჭირეს საერთო საქმეს, და—იმ დროს, როცა ჩვენ კადეტების მუხანათურ ტაქტიკას აშკარა ომი გამოუცხადეთ, ისინი კადეტებთან შეთანხმებას ცდილობდნენ და დღესაც ცდილობენ. მაშინ, როცა ჩვენ მონარქიულ-ბურჟუაზიულ პარტიებს ხალხის მტრათ და მოღალატეებათ ვსახავდით, ამხ. მენშევიკები, პლეხანოვის, მარტოვის, ჩერევანინის და სხვა ლიდერების გავლენით, იმათთან შეთანხმებას უქადაგებდნენ პროლეტარიატს. ამ სამწუხარო გარემოებამ პარტიაში დიდი განხეთქილება გამოიწვია; იქ ისევ დეზორგანიზაცია დაიწყო, რამაც პარტია შეასუსტა. ამის მავნე შედეგებს ახლა ყველა კარგათ გრძნობს. ამ ნიადაგზე მომხდარმა განხეთქილებამ პარტიის გავლენა დუმის მემარცხენე ფრაქციებზე შესამჩნევათ შეასუსტა. ბოლშევიკების ტაქტიკა თხოულობდა, რომ დემოკრატიულ ელემენტების წარმომადგენლები,—განსაკუთრებით სოც.-რევოლიუციონერები, ტრუდოვიკები და გლეხების კავშირის წევრები—გაენთავისუფლებინა კადეტების გავლენისაგან და მათთვის რევოლიუციური ტაქტიკა მიეღებინებინა, როგორც ამას დამშეულ და გაჭირვებულ გლეხების ინტერესი თხოულობდა; მაგრამ ამაში ამხ. მენშევიკებმა აშკარა წინააღმდეგობა გაუწიეს ბოლშევიკებს; სამაგიეროდ ისინი ხელს უწყობდნენ, რომ ეს მემარცხნე ფრაქციები კადეტების გავლენას დამორჩილებოდნენ. შეიძლება შემდეგში ბევრი ინანონ ამხ. მენშევიკებმა, და ასეთი დრო უკვე მოგვიახლოვდა სოც.-დემოკრატიული ფრაქცია უკვე განმარტოებული რჩება დუმაში უმთავრეს საჭირ-ბოროტო საკითხში. როგორც დეპეშები გადმოგვცემენ ამ დღეებში მომხდარა ყველა ოპოზიციურ და მემარცხნე ფრაქციების კერძო სხდომა—რომელზედაც პოლონეთის შავ-რაზმელებიც დასწრებიან. მსჯელობა ჰქონიათ იმის თაობაზე, თუ როგორ მიეგებნენ სტოლიპინის განცხადებას ყველა ოპოზიციონურ და მემარცხნე ფრაქციებს დაუდვენიათ, რომ მთავრობის განცხადება მოისმინონ და ამის შესახებ არავითარი მსჯელობა არ იქონიონ, ისე გადავიდნენ მორიგ საქმეებზე. ეს რეზოლიუცია სავალდებულოდ გახდეს ყველა მემარცხნე ფრაქციებისათვის. მხოლოდ სოც.-დემოკრ. ფრაქციამ უარჰყო ეს წინადადება და გადაჭრით განაცხადა, რომ იგი ვერ დასტოვებს მინისტრის განცხადებას უპასუხოდ, რომ ეს პირდაპირი ღალატი იქნება ხალხის ინტერესებისა, იმ ხალხის, რომელმაც ჩვენ აქ გამოგვგზავნა, რათა სიმართლე და ჭეშმარიტება ხმამაღლა განვაცხადოთ. სოც.-დემ. ფრაქციის ასეთმა განცხადებამ დიდი კამათი გამოიწვია. საკვირველია, რომ ეს-ერების, ამ ვითომდა რევოლიუციონერების, წარმომადგენლებმა რეპრესიების ხმარებაც კი საჭიროთ დაინახეს სოც.-დემოკრატების წინააღმდეგ. ამნაირათ სოც. დემოკრატია მეორე დუმაში სრულებით განმარტოვებული რჩება. აქაც კადეტური ტაქტიკა იმარჯვებს, ტაქტიკა კონტრ-რევოლიუციონური, ტაქტიკა ხალხის უმრავლესობის წინააღმდეგ მიმართული. რაღას იტყვიან ახლა ამხ. მენშევიკები სადღაა ის გაერთიანებული იერიში მთელის ოპოზიციისა ბიუროკრატიის წინააღმდეგ? რომელ ოპოზიციონურ მოთხოვნას უჭერენ კადეტები მხარს? სოც.-დ. ფრაქციამ მისცა ხმა იმათ თავმჯდომარეს; კადეტების სურვილის თანახმათ, იმავე ფრაქციამ უკან წაიღო ამნისტიის შესახებ შეკითხვა. ახლა ჯერი მიდგა ბიუროკრატიის მოქმედების, საველე სასამართლოების და სხვა „საგმირო" საქმეთა დაფასებაზე. კადეტებმა აქაც დუმილი არჩიეს და ესევე მოსთხოვეს სოც.-დემოკრატიასაც. ეს კი შეუძლებელი იყო სოც.-დემოკრატიის მხრივ.—ეს დიდი გაკვეთილია მომავალისათვის. ახლა მაინც უნდა დაინახონ ამხ. მენშევიკებმა კადეტების „ოპოზიციონერობა". რაც შეეხება დანარჩენ მემარცხნე ფრაქციებს, რომლებიც კადეტების ყურ-მოჭრილი ყმები შეიქნენ, ხალხი კარგათ დააფასებს იმათ საქციელს. ხალხმა ისინი ამჯობინა კადეტებს. იმათ კადეტების კუდში მიყოლა არჩიეს. ხალხი უარჰყოფს იმათ.

## ახალი ამბავი

ადელხანოვის და თაიროვის ქარხნის გაფიცულ მუშებმა სათათბიროს წევრს ზურაბიანცს შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნეს: „პეტერბურგი,—სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატს ზურაბიანცს. 6 თებერვალს გავიფიცენით ადელხანოვის და თაიროვის ქარხნის მუშები და წარვადგინეთ ეკონომიური მოთხოვნილებები.

მშვიდობიანი გაფიცვა დაარღვია პოლიციის მხეცურმა ჩარევამ საქმეში. დაატუსაღეს ოცი მუშ. საქმე მწვავე ხასიათს მიიღებს. გთხოვთ ჩაერივნეთ ამ საქმეში მუშების შელახულ უფლებების აღსადგენად.

გაფიცვის შეერთებული ბიურო."

✦ 12 მარტს, თბილისის სასამართლო

პალატაში გაირჩევა საქმე, მიხაკო ხოფერიასი, აბრამ აბრამიძისა, იასე ხინველისა და ნიკოლოზ ორჯონიკიძისა, რომელთაც 1905 წ. დეკემბერს, სად. სანაინში მომხდარ პოლიტიკურ გაფიცვაში მონაწილეობის მიღება ბრალდებათ. ბრალდებულთ დაიცავენ ნაფიცი ვექილები ბარათაშვილი, ბროცკი და ბახუტოვი.

✦ თბილისის დრ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებით იგზავნებიან: 1) ვიატკის გუბერნიაში: ერევნის გუბერნიის, სოფ. ჩელალიბის მცხოვრები მ. კ. დანიელოვი, რომელსაც გაჩხრკის დროს რევოლვერი აღმოჩნდა; 2) ვოლოგდის გუბერნიაში:სამი წლის ვადით, გ. მ. ყულიჯანოვი და 3) თბილისის საგენერალ-გუბერნატოროს საზღვრებიდან, ეტაპით, ნ. ს. სელუქაშვილი.

✦ 1 მარტს, საშუადღევის 3 საათზე, მე-10 საპოლიციო ნაწილში, ელისაბედის და ვაგზლის ქუჩების კუთხეში, 3 უცნობმა რევოლვერები დაუშინეს ერთმანეთს. სროლაზე პოლიცია გამოჩნდა და ბორჯომის ქუჩაზე ერთი მსროლელთაგანი დააპატიმრა, რომელიც გორის მაზრის მცხოვრები, ისაკა მანაშეროვი აღმოჩნდა.

✦ სად. სანაინიდგან გვატყობინებენ, რომ 2 მარტს, როცა სახალხო მატარებელი მოვიდა, იქ მყოფ ჯარის ერთ მთვრალ აფიცერს უბრძანებია თოფი დაეშინათ როგორც მატარებლისათვის, ისე ხალხისთვის. ჯარის-კაცებს ბრძანება შეუსრულებიათ და ასამდე გაუსროლიათ, მაგრამ ჰაერში, რასაც მგზავრები და სადგურზე მყოფი საზოგადოება მეტათ შეუშინებია.

✦ 2 მარტს, პოლიციამ დააპატიმრა კარაპეტა სარქისოვი და მარტიროსა მარქაროვი რომელთაც ვაჭარ ანდრიას პაპაქიანცის სასიკვდილოდ დაჭრა ბრალდებათ.

✦ ახალგვარი შანტაჟისტობა. გარდა იმ საძაგელ ექსპროპრიაციისა, რომელსაც იჩენდენ აქამდე ზოგიერთი ვაჟბატონები, ვილაც. გ. კ. მაჭავრიშვილს გამოუგონია ახალ ჯურის ექსპროპრიაცია. ეს ვაჟბატონი ხმარებლობს „რენესანსის“ წარმოდგენებით და საზოგადოებაში ასაღებს ყალბ ბილეთებს, ვითომდა საქველმოქმედო მიზნით: ბილეთთან ერთათ უგზავნის წერილებსაც ზედ წარწერით: „Въ пользу одного ученица“ და კიდევ სხვაფაირათაც „М. Г. Надѣюсь на васъ въ просьбѣ неоткажите и примите билеть на наши спектакль на русскомъ и грузинскомъ языкахъ.“ 2 მარტს წარმოდგენაზე ამგვარი ყალბი ბილეთები აღმოჩნდა, რომელზედაც ბ. მაჭავრიშვილის შტემპელია დაკრული. ბილეთები აღმოჩნდა აგრეთვე 4 და 11 მარტის წარმოდგენებისათვის. ვაფრთხილებთ პატივცემულ საზოგადოებას, გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ, აღარ შეიძინონ ამ ვაჟბატონებისაგან არავითარი ბილეთები.

✦ აველაბრის სცენის მოყვარენი გვთხოვენ გამოვაცხადოთ საზოგადოების საყურადღებოთ, რომ კვირას 4 მარტისათვის დანიშნული წარმოდგენა „ორი დარაჯი“ სხვა დროისთვის გადაიდო. წარმოდგენის დღეს გაზეთითვე ამცნობენ.

## პროვინცია.

**ქუთაისი.** პირველ მარტს კლუბში საქველმოქმედო საღამო იყო გამართული. საერთო მხიარულების დროს, უცებ გამოჩნდა ბოქაული. დამსწრენი დაფრთხნენ. ბოქაულმა დააპატიმრა ნიკ. ქარციეაძე და გაქრა. მიზეზი არ იციან.

— ქუთაისის ს.-დ. პარტ. კომიტეტმა პირველ მარტს გამოსცა განცხადება მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ ს.-დემოკრატიულ პარტიას არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონია ამას წინედ 15 ათას მანეთის გატაცებაში და რომ იგი ჰგმობს მძარცველთა ასეთ საქციელს.

— ამ დღეებში დაატუსაღეს ქუთაისის ქართულ გიმნაზიის მოწაფეთ ნამყოფი ჩიქოვანი. პოლიციის აგენტები ამტკიცებენ, ვითომც მათ უტყუარი საბუთები აქვს, რომ ჩიქოვანი მონაწილე იყო გიმნაზიის ხაზინადრის გაძარცვაში.

— ქუთაისის გუბერნატორმა განკარგულება მოახდინა, რომ საქველმოქმედო სრულობის გამართველთ როგორც სრულ შემოსავალი ანგარიში, ისე მთელი შემოსავალი ფულისა წარუდგინონ ხოლმე პოლიციის მოხელეებს, რომლებიც ამ ფულს დანიშნულებისამებრ თვითონ გადასცემენ. ამგვარი განკარგულების საბაბად იმას ასახელებენ, ვითომც გუბერნატორს უსახელო წერილები მისვლოდეს, რომ ასეთ „საღამოების“ შემოსავალი სარევოლუციო საქმეებს ხმარდებაო.

— ქალაქის გამგეობისა და ქალაქის სააფთიაქო კომისიის უკანასკნელ დადგენილებით, მთელი მოგება საქალაქო აფთიაქისა საქალაქო საავადმყოფოს შენობის ასაგებათ უნდა გადაიდოს. შენობა „სადორიაში“ აშენდება. მაგრამ, როგორც აფთიაქის ანგარიშებიდგან აღმოჩნდა, აფთიაქს შვიდასი თუმანი ვალი ჰქონია პეტერბურგისა და მოსკოვის დროგისტების. ამის გამო გადაწყვეტილია, რომ ქალაქის საავადმყოფოს სასარგებლოდ მხოლოდ ერთის წლის შემდეგ შეიძლება გადაიდოს ხოლმე აფთიაქის მოგება, მანამდე კი ვალი გაისტუმრონ.

**თელავი.** პოლიციამ მიაგნო სოც.-დ. პარტიის სტამბას. იმ სახლში, სადაც ეს სტამბა აღმოჩნდა, ადმინისტრაციამ დაატუსაღა არჩილ ფარსადანოვი, მისი და, მამა და სიძე.

**ზუგდიდი.** ამას წინედ ბოქაულს შენგელაიას მოსტაცეს **თორმეტი წლის** ქალიშვილი. ეს საბრალო გაუუპატიურებიათ, უწამებიათ და მიუგდიათ ტყეში, თითონ მიმალულან. ამბობენ, ვითომც ბოროტ-მოქმედთ ასეთი საქმე შურისძიებით ჩაუდენიათო.

**ახალ-ციხე.** წარსულს თვეში (12-ში) ნაშუადღევის ორ საათზე, ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მახლობლად, სროლა ასტყდა. მცხოვრებნი შიშის ზარმა აიტანა. ყველა გარბოდა. გამოირკვა, რომ შეტაკება სიმხების ორ პარტიას ჰქონია ერთმანეთში. შემთხვევით მოჰკლეს ერთი სალდათი. გენერალ-გუბერნატორმა ამის გამო გამოსცა განკარგულება: ქალაქმა დაუყონებლივ გადაიხადოს მოკლულ სალდათის ოჯახობის სასარგებლოდ ხუთასი თუმანი, რაც რამ იარაღია ქალაქში ადმინისტრაციას წარუდგინონ, ქალაქმა, ხელწერილი დასდოს, რომ დღეის შემდეგ ასეთი ამბავი აღარ განმეორდება. წინაამდეგ შემთხვევაში ქალაქში ეგზეკუციას ჩავაყენებო.

ამის გამო ქალაქის საბჭოს თათბირი ჰქონდა. აირჩიეს დეპუტაცია და გენ.-გუბერნატორს აახლეს. დეპუტაციამ სთხოვა გენ.-გუბერნატორს: ნუ გვიზამთ ასეთ საქმეს, ეგზეკუცია აგვაცილეთ თავიდანო,—და მოკლულ სალდათის ოჯახობის სასარგებლოდ, ხუთასი მანათი შეაძლია. გენ.-გუბერნატორმა არ შეიწყნარა დეპუტაციის თხოვნა.

რითი გათავდება საქმე არ ვიცით.

**ბაქო.** მოსკოვ-ვოლგ. საზოგადოების წარმოების გამგემ **ინჟინერმა ვეიტეროვმა** განცხადება გამოსცა გაფიცულ მუშათა საყურადღებოდ, რომ თუ ისინი 25 თებერვალს მუშაობას არ შეუდგებიან, 28 თებერვალს ანგარიშს გაუსწორებ და დავითხოვო. ამავე დღეს დათხოვნილებმა მათ „საზოგადოების“ ბინები უნდა დასცალონო. ჯერ საქმე გამოურკვეველია.

— ზანგეზურის მუსულმანებმა ზ. ა. ტაგიევს შემდეგი დეპეშა გაუგზავნეს: სიმშილობა მძვინვარებს. სანოვაგის ფასებმა ერთი-ორათ აიწია. არა გაგვაჩნია რა. მცხოვრებთა უმრავლესობა დამშეულია. მთავრობის დახმარებაზე იმედი გადაგვიწყდა. ღვთის გულისათვის, მოგვაშველეთ ფქვილი, თორემ მთლათ გავიმუსრებით“

— სახელმწიფო სათათბიროს ბაქოს გუბერნიის დეპუტატი ზეინალოვი დეპეშით ატყობინებს გაზ. „ირშადს“ პეტერბურგიდან: დღემდე 25 მუსულმანი—დეპუტატია ჩამოსული. ამათგან 17 კადეტებს ემხრობა, დანარჩენი 8 უფრო მემარცხენეებს.

**ჭიათურა.** მარგანეცის მწარმოებელთა საბჭომ უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა, რომ ჭიათურასა და ქიქაურის იაფ-ფა-

# ფელეტონი

## დუმა

### წერილი I.

— დეპუტატი ხართ?

— რა პარტიას ეკუთვნით?

— მემარცხენე ხართ?

— ურა, ამხანაგებო! მემარცხენე დეპუტატს გაუმარჯოს!

— ურა!

გრიალებს ხალხი და მემარცხენე დეპუტატს თან ძისდევს სადღესასწაულოთ შეკრებილთა გულწრფელი სალამის ყიჟინა.

ტავრიდის სასახლესთან ხალხს არ უშვებენ ცხენოსანი და ქვეითი პოლიცია და ჯარი „ქრთგულ დარაჯათ“ უდგანან ხალხის მიერ არჩეულთა სასახლეს ამრჩევლების წინააღმდეგ.

მაგრამ, მიუხედავათ ამისა, კადეტების სავალალოთ ბალღი გაცილებით უფრო ახლოს შეკრებილა დუმასთან, ვინემ პირველ დუმას კადეტური კანონ-პროექტი აძლევდა ნებას.

— მოითმინეთ, აქას იქით წასვლა აკრძალულია!

— მე გაზეთის წარმომადგენელი გახლავართ.

— მიბოძეთ თქვენი ბილეთი!

პოლიციელმა გულმოდგინეთ გასინჯა ბილეთი, მესადარა სურათი, რომელიც ყველა კორესპონდენტის ბილეთებს თან ახლავს და ზრდილობიანათ ჩამომეცალა.

წავედი ტავრიდის სასახლისკენ. უკანიდან გრიალი მოისმის, წინ კი სიჩუმეა და, ხალხისაგან მოწყვეტილი, სასახლე ობლათ გამოიცქირება.

სასახლის წინ, დაცარიელებულ ქუჩაზე პოლიციელები და სამხედრო პირები დაძრწიან.

ალაყაფის კარებს მივაღწიე. აქაც გამომკითხეს ჩემი ვინაობა და როგორც იყო შევედი სასახლის ეზოში. მარა „დაპროსი“ ამით არ გათავებულა და კიდევ ორჯერ შეამოწმეს ჩემი პიროვნება: ერთხელ დაბლა, თვით სასახლეში შესასვლელ კიბეზე, მეორეთ კი ზევით—მეეზოვემ... ცარმა.

თორმეტის ნახევარია. დეპუტატების უმეტესი ნაწილი მოსულა კიდეც. სხდომის დარბაზში ორასამდე დეპუტატი ზის, სხვები კულუარებში არიან. მინისტრების ლოჟა ჯერჯერობით ცარიელია. დამსწრე ხალხის ლოჟები სავსეა. ეს ადგილები დღეს „სუფთა პუბლიკას“ უჭირავს: უმაღლეს სფერების წარმომადგენელ გვამებს და ბანოვანთ. სამხედრო მუნდირები და „სამოქალაქო“ ვიცმუნდირები და ფრაკები სჭარბობენ. ამათი უმეტესობა, დუმის შენობის „დასაცავათ“ დაქირავებული, „ფარული“ და „პირდაპირი“ პოლიციელებია. ესენი მელიებსავით დაცუნცულებენ დუმის დარბაზებში და ზედმეტ ცნობის მოყვარეობით ათვალიერებენ შემომსვლელებს. ყველა ეს ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს ვულუპრყეველ დამსწრეზე.

ეს რა ამბავია? გაისმის აგერ-ეგერ — დუმაში ვართ თუ „ოხრანკაში“?

— ჩუმათ, არავინ გაგიგონოს,—აფრთხილებენ მომჩივანს.

„ეკატერინეს დარბაზში“ პარაკლისისთვის ემზადებიან. ყველას ყურადღება აქეთკენაა მოპყრობილი. პარაკლისი უნდა გადაიხადონ: მიტროპოლიტმა ანტონიმ და ორმა შავრაზმელმა დეპუტატებმა: ეპისკოპოსებმა ევლოგიმ და პლატონმა. მიტროპოლიტი ჯერ არ მოსულა. ეპისკოპოსები კი შემოსილან კიდეც და მამაშვილურათ ემუსაიფებიათ ვილაც გენერლებს.

— აგერა სტოლიპინი!

— აი, გოლუბიევი! კოკოვცევი! ვასილჩიკოვი.—გაისმის ჩურჩული ჟურნალისტების ზევითა ლოჟაში.

იმ ადგილს, სადაც პარაკლისი უნდა გადაიხადონ, გარს არტყია 200-მდე კაცის მჭიდრო რკალი. ყველაზე წინ, თითქმის განცალკევებით, დგას გოლუბიევი, რომელმაც დღეს დუმის პირველი სხდომა უნდა გახსნას. ეს გვამი ნამდვილი ტიპია და მართლა რომ გვამია. პირველათ ვხედავ გოლუბიევს, მარა რადაც ძალიან ნაცნობათ მეჩვენება მისი სახე და „ახოვანება.“ ვფიქრობ და ვიგონებ: ეს ხომ ნამდვილი თვითმპყრობელობაა, ხორცშესხმულა თვით მპყრობელობა. მის სურათს რომ ქვეით დაუწერო „რუსეთის თვით მპყრობელობა 1907 წელს“, მე მგონია საუკეთესო კარიკატურული ილიუსტრაცია იქნება რომელიმე სურათებიან ჟურნალისთვის: მაღალი, მსუქანი, ძალიან დაბერებული, დაძველებული ტანი, ბრწყინვალე მუნდირში გახვეული, წითელი, ფართო ლენტი, რომელიც მარცხენა მხარეზე აქვს გადაგდებული, ჩალეწილ მკერდს უფარავს ყველაზე უფრო ღირს-შესანიშნავი— პირისახეა: ჩამოტომრილი ლოყები, მომსხო ცხვირი, რაღაც უფერული მღვრიე თვალები, ჩამოვარდნილი დაკეცილი ნიკაპი, არც წვერი არც ულვაში და ყველა, ამასთან... არავითარი გამომეტყველება. ხელები „პოშვამ“ უჭირავს და ცდილობს მედიდური და უსაზღვროთ დინჯი გამომეტყველება იქონიოს. ასე გგონია, ხელები რომ ტანს მოაცილოს, მაშინვე დაიშლება და მთელი გოლუბიევი ბოძგამოშლილ ძველ ქოხსავით ჩამოწვება „წმინდა“ ეპისკოპოსების წინაშე. ცდილობს მღელვარება დაფაროს, მარა ვერ გამოუდის. ხან ლენტს გაისწორებს, ხან იხრებზე დაიხედავს, ცხვირსახოცს ამოიღებს ჯიბიდან და აქეთ-იქით აცეცებს თვალებს, თითქოს ვილაცას ეძებს დაგეძებს, ვინც ამ სიმწრის დღეს დაუძახოს და მხარი დაუჭიროსო... გოლუბიევს გარს არტყია მინისტრთა კაბინეტი. ბ. სტოლიპინი, ნამდვილი „დელიყანდი“, მაღალი, ახოვანი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა შავწვერულვაშა კაცი (სიტყვას ვერ მოგცემთ, რომ წვერს არ იღებავდეს) შედარებით თავისუფლათ გრძნობს თავს და თითქმის დაუდევრათ ემუსაიფება მეზობლათ მდგომ „ამხანაგებს.“ გარდა კაბინეტისა, აქვე არიან მრავალი სხვა „მ-

სიან სასადილოების დასახმარებლად გადაიდოს მხოლოდ ხუთასი თუმანი. ეს დახმარება დღეს მეტად მცირეა, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ წარმოებაში მუშებობამ იმატა, ბევრი ახალი მუშა-ხელი მოაწყდა როგორც ჭიათურას, ისე ჰიქაურს. ძალაუნებურათ ნაკლები სადილი მზადდება და ვინც უფრო ადრე მოასწრობს, ის სარგებლობს სადილით, სხვები უსადილოთ რჩებიან და მშიერი ბრუნდებიან უკან. ასეთი მდგომარეობა ჰიქაურაში უფრო საგრძნობელია. ჭიათურაში კი, რომლის სასადილოც ამ ხუთას თუმნიდან სამასს ღებულობს, ჯერ-ჯერობით არაა ასე გამწვავებული ეს საკითხი, რადგან უფრო რიგიანათაა გაწესრიგებული სასადილოს საქმე.

მრეწველთა საბჭოს მეცადინეობით, მარგანეცის გაზიდვის საქმე უკეთ პირობებში ჩადგა. საბჭომ დაითანხმა რკინის გზის გამგეობა, რომ ღამ-ღამობით გაანათოს ის პლატფორმები, სადაც ვაგონებს ღამევე დასტვირთავენ მუშები. ღამ-ღამობითაც დატვირთვა ვაგონებისა კი ერთი—ორად დააჩქარებს მარგანეცის გაზიდვის საქმეს, რაც მთელს წარმოებას დიდათ შეუწყობს ხელს.

რა თქმა უნდა. უსაქმოდ დარჩენილ აუარებელ მუშა-ხელსაც საქმე გაუჩნდება, რადგან მუშაობა ორ-წყებათ იქნება—დღისით და ღამით.

**ახკერანი.** ამას წინედ აქ მოჰკლეს ერთი აფიცერი—ზოლოტარევი. ამ ამბავმა ადგილობრივი ადმინისტრაცია ფეხზე დააყენა. დაუყონებლივ გაესტუმრა მაზრის უფროსი ბ-ნი ტერასიმოვი. სიბრაზისაგან ცოფებს ჰყრიდა. ორმოცამდე დუქანი დაატუსაღა, შებოჭა მაგრათ და ციხეში უკრა თავი. სოფლებს გამოუცხადა, რომ მკვლელის ჩაგიუვნებთ, ხოლო ამ დუქნების სყველას თავებს დავაჭრევინებთო.

ამ ამბავმა შიშის ზარი დასცა მცხოვრებლებს. შეიკრიბნენ, ითათბირეს და მაზრის უფროსის დახლოვებულ მოხელეს მიჰმართეს: რა ვქნათ, რითი უშველოთ ჩვენს თავსაო? მოხელემ ესეთი რჩევა მისცა. მცხოვრებლებმა, სიცა იყო და არ იყო, შეაგროვეს ოთხასი თუმანი და მაზრის უფროს მიუძღვნეს. მაზრას უფროსი მოლბა, ფულები ჯიბეში ჩაისვენა, და დუქნები გაანთავისუფლა. მაგრამ მისივე მოხსენებას თანახმად კიდევ ახალი ჯარიმა გააწერეს (სამასი თუმანი) მახლობელ 17 სოფელს, სადაც სომხები და თათრები მოსახლეობენ.

მაზრის უფროსის საქციელს კომენტარიები აღარ ესაჭიროება.

## მუშათა მოძრაობა და კავშირები.

**თბილისის აფიცერთა საზოგადოების სამკერვალოში.** თამამათ შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ისეთ სახელოსნოს ვერსად შევხვდებით და ისეთ ორჭოფ ხალხს ვერსად ნახავთ, როგორნიც არიან დღეს ჩვენი „ოფიცერთა" ქარგლები. დილის 8 საათიდან საღამოს 7 საათამდის მუშაობენ და მაინც კიდევ არ კმაყოფილდებიან 11 საათის მუშაობას; აშაოშების შემდეგ მაინც კიდევ იღვიძლებიან: იმასი ასე და ისე, ვინც განაზღვრა დრო და არ გვიშვებენ თავისუფლათ ვიმუშავოთო, ე. ი. 16 ან 17 საათს არ გვამუშავებენო. გაგიწყდებათ, ამხანაგებო, ის, რომ მთელი თბილისი სავსეა ცუდად დარჩენილი ამხანაგებით, ისინი არც ერთს საათს არა იმუშაობენ და იმათი ცოლ-შვილი მშიერები იხოცებიან! განა ისინი ჩვენი ამხანაგები არ არიან, განა ჩვენ არ უნდა შევიდეთ იმათ მდგომარეობაში?—გეკითხებით თქვენ, ამხანაგებო. ახლა ვიცი, რომ იტყვით თქვენ: რა უყოთ, კაცო, ჩვენ ხომ არა ვართ დამნაშავენი, რომ ისინი ცუდათ დადიან და იმათი ცოლ-შვილი მშიერები იხოცებიან. მაგრამ მე კი ვიტყვი, რომ ვართ დამნაშავენი, ამხანაგებო. აი მაგალითათ: ამ სამი კვირის წინათ რომ მოვიდა ჩვენთან ცუდათ დარჩენილი ამხანაგი და ადგილი ითხოვა, განა არ შეგვეძლო 50 კაცს იმისთვის 2 არშინი ადგილი დაგვეთმო? შეგვეძლო ეს უეჭველად, მაგრამ თავი არ აუიტკივეთ,—ხო და სწორეთ აქა ვცდებით. ეს არის ჩვენი ძმობა თანასწორობა?! ისრე ვართ კერძო ინტერესებით გაჟღენთილი, რომ ვერც კი ვამჩნევთ ჩვენ ჯარშემო ცუდათ დარჩენილ ამხანაგებს. სირცხვილია ჩვენთვის! საქმე ის კი არ არის, რომ როცა დღეობის შევიქცევით, მაშინ გავიძახოთ, გაუმარჯოს თანასწორობას და ძმობას! არა, ამხანაგებო, საქმე სხვაა და სიტყვა სხვაა.—ხო და ჩვენ საქმით უნდა დავუმტკიცოთ ჩვენი რწმენა ჩვენს ცუდათ დარჩენილ ამხანაგებს. ამისთვის კი საჭიროა ჩვენ დავიკლოთ თითო ოროლი საათი და ისარგებლონ ჩვენმა ამხანაგებმა. თუ ესრე არ მოვიქცევით, მაშინ დავიმსახურებთ ზიზღსა და სხვას არაფერს. გავანებოთ თავი ამას და მოვძებნოთ შევეხოთ ჩვენს სახელოსნოს უწესრიგობას. ორშაბათობით არ მუშაობა ზნეთ დასჩემდათ ზოგ-ზოგ ჩვენს ოსტატებს. ჯანდაბას, თუნდ ერთ კვირასაც ნუ იმუშავებენ, ეს თავიანთი სურვილია, მაგრამ საქმე ის არის, რომ დაითვრებიან, მოვლენ და ისეთ უწმაწურ სიტყვებით იგინებიან, რომ კაცმა ყურებში ხელი უნდა დაიცოს. რა უნდა ისწავლონ იმათგან პატარა შეგირდებმა ამის შემდეგ? მე მგონია, რომ ჩვენი „ოფიცერთის", ასე თუ ისე, მოწინავე ამხანაგები მოვიდენ არიან ყურადღება მიაქციონ ამას, რომ ერთხელ-და-სამუდამოდ მაისპოს სახელოსნოში ამისთანა უწესოება.

**ვანო ხ.**

—

რეაქციონური მთავრობა თანდათან იძულებულია იატაკ-ქვეშ ამოფარებულ კავშირებს ზევით ამოაყოფინოს თავი და მით, ალბათ, უკეთ ადევნოს თვალყური მათ ძალას და სულთა განწყობილებას. მართალია, ამით შორს ვერ წავა პოლიციურ-ბიუროკრატიული მთავრობა, ვინაიდან „რა-ლეგალურ" პირობებში გაბედულ-კამოხრძმედებულ კავშირებს პროვოკაცია ვერას დააკლებს... ჩვენი კავშირები იმ დამახინჯებულ კანონითაც ისარგებლებენ, რაც მთავრობამ ჯერ-ჯერობით დაუთმო... ნამდვილ თავისუფლებას კავშირებისას, როგორც სხვაგვარ თავისუფლებას, ჩქარა მიაღწევს ხალხი და მხოლოდ მაშინ გამოაშკარავდება მთელი სიდიადე დღევანდელ მუშათა პროფესიონალურ მოძრაობას. მანამდე-კი კავშირები იძულებულია ორგვარ მდგომარეობაში დარჩნენ და ორგვარ მუშაობას ეწეოდნენ ერთდაიმავე დროს... ჯერ-ჯერობით „სხვადასხვა საზოგადოებათა" სახით თფილისში ლეგალურათ გამოცხადებულია შემდეგი კავშირები: მოსამსახურეთა, მბეჭდავთა და ტრამვაის ფუნიკულიორის მოსამსახურეთა. უკანასკნელი კავშირი დამტკიცებულია 10 თებერვლიდან (ამა 1907 წელსა). მოგვყავს აქ წესდება, რომ საშუალება მიეცეს ამხანაგებს მისი გაცნობისა.

**ტფილისის ელექტრონულ ტრამვაის და ფუნიკულერის მოსამსახურეთა პროფესიონალური საზოგადოების წესდება.**

1. საზოგადოების მიზანი.

§ 1. თფილისის ტრამვაის და ფუნიკულერის მოსამსახურეთა საზოგადოებას მიზნად აქვს:

ა) თავის წევრთა უფლებრივ და ეკონომიურ ინტერესების დაცვა, ბ) მათი გონებრივ, პროფესიონალურ და მორალურ (ზნეობრივი) განვითარების ხელის-შეწყობა, და გ) მატერიალური (ნივთიერი) დახმარება თავის წევრთა.

§ 2. თავის მიზნების მისაღწევათ საზოგადოება:

ა) ქირაობს შესაფერ შენობას, საზოგადო კანონების საფუძველზე იძენს და ეპატრონება მოძრავ და უძრავ საკუთრებას, ადგენს ყოველგვარ კანონიერ ხელშეკრულებათ და პირობებს და აგრეთვე იცავს თავისს ინტერესებს რწმუნებულთა შემწეობით, ბ) მართავს კრებებს იმ კითხვების გარდასაწყვეტად, რომელნიც ამ პროფესიას და მისს დარგებს ეხებიან და იკვლევს ამ პროფესიის მუშათა შრომის პირობებს, მათი ყოფა-ცხოვრებას და საჭიროებათ, გ) მართავს ბიუროს: 1). იურიდიულ დახმარებისთვის, 2). სამუშაოს (ადგილის) მოსაძებნათ, დ) შეთანხმებას ახდენს როგორც ცალკ-ცალკე „ხაზეინებთან", აგრეთვე მათ მთელ ჯგუფებთან, ან საზოგადოებებთან ხელფასისა, სამუშაო დღის და შრომის სხვა პირობების მოსაწესრიგებლათ, აგრეთვე თვალყურს ადევნებს, რომ სრულათ სრულდებოდეს, როგორც ხაზეინებისგან, აგრეთვე თავის წევრთაგან ამ შეთანხმების პირობები, ე) მართავს მოსარიგებელ კამერებს გასარჩევათ ხაზეინებსა და მუშებ-შორის მომხდარ უკმაყოფილებათა გადასაწყვეტად იმ საცილობელსადავო კითხვებისა, რომელნიც (თვით) წევრთა შორის აღიძრვის პროფესიონალურ ინტერესების ნიადაგზე.

3). აძლევს ფულით შემწეობას უმუშევართ და გზის ფულს სხვა ქალაქებში ადგილის საძებრათ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. კავშირთან არსდება დასახმარებელი კასსა, რომელშიაც ჩაირიცხება საზოგადოების სატრიალებელ თანხიდან 10%.

§ 3. თავის წევრთა მორალურ (ზნეობრივი), პროფესიონალურ და სულიერ განვითარების ხელის შესაწყობათ, საზოგადოება მართავს ბიბლიოთეკებს, სამკითხველოებს, საჯარო ლექციებს, ექსკურსიებს, კითხვა—მეკადრეობას, კურსებს და (სხვადასხვა) საუბრობას საზოგადო განვითარებას მიზნის მისაღწევად.

(შემდეგი იქნება)

—

მალი ბიუროკრატებიც." ბიუროკრატების წრეს გარს არტყიან „ნამდვილი რუსები:" შავრაზმელი დეპუტატები პავოლაკი კრუშევანის მეთაურობით და სხვა პატარა კრუშევანები. პავოლაკი, რუსების თქმის არ იყოს, „გვოზდია" დღევანდელი დღის. მის გარეგნობა სავსებით არღვევს რუსების ოქმულებას: „გარეგნობა მატყუარაო". შეხედავ თუ არა მის ფლიდს და უციფარს, რაღაც სპილენძის ფერ პირისახეს და დაგრეხილ სხეულს, მაშინვე ამას გაიფიქრებ: „ეს „ადამიანი" მშობელ დედასაც არ დაინდობსო"

მიტროპოლიტიც მობრძანებულა და შემოსილა კიდეც. პრემიერი, გოლუბიევი და სხვები ლოცვა-კურთხევას იღებენ მიტროპოლიტისაგან, რომელიც მოოქროულ, ბრწყინვალე სამოსელში აბისსინიის მეფეთ-მეფე მენელიკ II-ს უფრო გავს, ვინემ ქრისტეს მორჩილს და უანგარო მოსამსახურეს.

— გვაკურთხე მეუფე-ე-ე-ოო-ო!

გაისმა დარბაზში მთავარის ხმა.

ძველი რუსეთი ლოცულობს. შავრაზმელთა გუნდი სასტიკ პირჯვარის წერაშია. კრუშევანები და პურიშკევიჩები თავიანთ ღმერთს ევედრებიან. რას სთხოვენ უფალს? საველე-სამხედრო მართლ მსაჯულების აყვავებას? თვითმპყრობელობის აღორძინებას? გურკო-ფრედერიქსების კეთილბედნიერებას? ეს მათ „სვინდისზე" იყოს! დეე, ილოცონ, სანამ ღმერთი აუსრულებდეს მათ ვედრებას, „დეე, მკვდრებმა დამარხონ თავიანთი მკვდრები!" ჩვენ კი ქსენი დაუტევოთ დროებით და ცოცხლებში გადავიხედოთ.

სხდომის დარბაზი თანდათან ივსება. ყველა ერიდება მარჯვენა მხარეს წასვლას და მარცხნივ ეძებს თავისუფალ ადგილებს. მარა რადგან მარცხენა თითქმის სულ დაჭერილია, ახლ მოსული დეპუტატები იძულებული ხდებიან მარჯვნით გაიწიონ. ჯერ ადგილები არ დაუნაწილებია პარტიებს. ჩვენ დეპუტატებს კი მარჯვნივ უწევთ დაჯდომა. ესენი ყველას ყურადღებას იქცევენ.— ს. დ—ები, ს. დ—ები მოვიდნენ!—გაისმის დარბაზში. ამ წამში სხდომის დარბაზში მხოლოდ მემარცხენეები და ცენტრია. მემარჯვენეები იქ არიან, პარაკლისზე. დეპუტატები ჯგუფ-ჯგუფად შეკრებილან, თითეულ ჯგუფში რამდენიმე კაცი ზის, დანარჩენნი კი გარს ახვევიან. ყველას სერიოზული, ჩაფიქრებული სახე აქვს. კიდეც მართებთ! მეტათ პასუხ-საგები და საძნელოა მათი მოვალეობა—„ხალხის წარმომადგენლობა!" ამ ორი სიტყვის შინაარსი სავსებით გამოხატავს მათი მდგომარეობის პასუხის მგებლობას. მთელი რუსეთის თვალ-უწვდენელ სივრცის ყველა კუთხეებიდან გამოტყორცნია ხალხს თავიანთი წარმომადგენლები (რამდენათაც ჩვენი მთავრობის ტაქტიკამ, ჩვენმა საარჩევნო უფლებამ და ჩვენი სენატის განმარტებებმა არ შეუშალა ამას ხელი). ამ ხალხის მიერ გამოტყორცნილ წარმომადგენელს აქ, ტავრიდის სასახლეში შეუყრიათ თავი. ამ ნაირათ, რუსეთის ყველა კუთხეებიდან ამ შუა ადგილამდე გაბმულია მრავალი ძაფები. ეს ქსელი ჯერ-ჯერობით, რა თქმა უნდა, სუსტია და თითქმის უსიცოცხლოა. მისი ძაფები შეიძლება დაწყდეს და შეიძლება გამაგრდეს, დაიგრიხოს, თოკებათ იქცეს. ქსელი შეიძლება სრულიად დაირღვას, მოკვდეს, და შეიძლება გამტკიცდეს, გაცხოველდეს. ამ ქსელის ბედ-იღბალი თვით დეპუტატებზეა დამოკიდებული, დუმის მოღვაწეობაზე და ტაქტიკაზეა დამყარებული. თუ რომ თითეულმა ფრაქციამ ღირსეულად წარმოადგინა გამომგზავნთა ინტერესები, თუ რომ დეპუტატებმა შეუდრეკლად აღიმაღლეს ხმა თავიანთ ამრჩევლების ბედ-იღბალზე და ჭირ-ვარამზე—საქმე კარგათ წავა, ქსელი გამტკიცდება. წინააღმდეგ შემთხვევაში— მკვდარია დუმა მაგალითი პირველი დუმაა. მან ვერ მოიხმარა თავისი უპირატესობა, ვერ დაიკავშირა რუსეთი, რადგან ის იყო ერთფეროვანი და უფეროული; ის იყო ჩლუნგი, გაუბედავი, ბილიკებით და არა გზატკეცილით მოსიარულე. ეს დუმა კი მრავალფეროვანი, ყველა—ფეროვანია (თუ შეიძლება ეს სიტყვა ვიხმაროთ) და ამასთან გარკვეულ, ლია ფერებიდანაა შეზავებული. აქ საზოგადოების ყველა კლასებია წარმოდგენილი: პროლეტარიატი, გლეხობა, წვრილი, საშუალო, მსხვილი ბურჟუაზია, წვრილი და მსხვილი მემამულეები, ყველა კლასებს ყავს თავიანთი ინტერესების დამცველი. კადეტები, რომელნიც პირველ დუმაში მასპინძლებათ და ბატონ-პატრონებათ იყვნენ და რომლებმაც მიხვეულ-მოხვეულ ბილიკებით მლიქვნელობის და პოლიტიკურ მოღალატეობის გზით ატარეს მთელი დუმა, წელს მხოლოდ 20°/ₒ წარმოადგენენ მეორე დუმაში. ამასთანავე წლევანდელმა კადეტებმა აბრეშუმის ჭიების ჩვეულებისამებრ იცვალეს შარშანდელი ტყავი და უფრო გარკვეული სახით მოევლინენ რევოლიუციას. შარშან თუ კიდევ ყოყმანობდნენ და რევოლიუციონერებს „მემარცხნე მეგობრებს" ეძახოდნენ, წლეულს „მემარცხნე მტრები" უწოდეს მათ და რევოლიუციის დროშა „წითელი ჩვრის" სახელით მონათლეს. გამართლდა კ. კაუცკის და რ. ს. დ. მ. პარტიის მემარცხნე ფრთის შეხედულობა ლიბერალურ ბურჟუაზიაზე. უკანასკნელმა მარჯვნივ გადიხარა და პირში ჩალა გამოვლებული დასტოვა ის ამხანაგები, რომელნიც „მემარცხნე" კადეტების გარევოლიუციონერებას ფიქრობდნენ. ამის დაგვარათ კადეტები წელს ვეღარ იფარფარებენ დუმაში, თუ რომ მემარცხნეები „მარჯვეთ დახვდნენ." ხოლო უკანასკნელთ „მარჯვეთ დახვედრის" ძალ-ღონე დიახ შესწევთ.

შ. შ.

პეტერბურგი.

(შემდეგი იქნება)

## ღია წერილი

იმერეთის ეპისკოპოსს ლეონიდს.

თქვენო მეუფებავ! ლეჩხუმის მაზრიდან სოფ. ჟოშხამ არა ერთგზის „მორთმეულ" თხოვნებით გამცნოთ ამ სოფლის მღვდლის ანტონ ქურციკიძის ბევრი ურიგო და შეუფერებელი მოქმედება და გთხოვათ მამა ანტონის პასუხის გებაში მიცემა, მაგრამ ამაოდ, თქვენმა მეუფებამ ყოველივე „оставить безпослѣдствій"-თ გაათავა. იყო დრო, როცა ასეთი მოკლე წარწერები ამა თუ იმ სულმდაბლის პარპაშობას უზრუნველჰყოფდა, მაგრამ ახლა ასეთებში ცოტა არ იყოს ცხოვრებამ თავისებური ანგარიშები შეიტანა და ამიტომ ხუცესი ანტონიც იძულებული გახდა ჟოშხას გასცილებოდა. ეხლა ანტონი მეორე სოფელ ვენდუშშია მაგრამ ის ყველას სძულს, ეზიზღება და მის „მამაო ჩვენოს" არავინ ისმენს, რადგან კარგათ იციან, რა ღირსება-თვისების პატრონიც არის მათი „მოძღვარი". დიახ, აქაც ეს და მრავალ სასოფლო დადგენილებებით გემუდარებიან ანტონის მაგიერ სხვა მღვდლის დანიშვნას; მაგრამ თქვენ არც ამ დადგენილებათ და არც ბლაღოჩინ გულბანის მოხსენებას,—რომ ეხლანდელი ვენდუშის მღვდელ-მრევლის ერთათ მოთავსება შეუძლებელია,—ყურადღებას არ აქცევთ და ამ გვარათ ხელს უწყობთ მღვდელ-მრევლის შორის ეკლესიის სამტრო ბინათ გადაქცევას, რა გაეწყობა! სიმართლე უთქვენოთაც თავისას გაიტანს და მამა ანტონი ჟოშხისებურათ ვენდუშიდანაც წაბრძანდება, მაგრამ მე კი მაინც სურვილი მაქვს საზოგადოებას ვამცნო თქვენი მეუფების, ავტოკეფალიის ისე თავგამოდებით დამცველის, ზემო ნაჩვენები საქციელი.—

რუბენა ლეჩხუმელი.

## დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან).

1—2 მარტი

### სახელმწიფო სათათბირო

**პეტერბურგი.** ყველა ოპოზიციონურ ფრაქციების სხდომაზე სოც.-დემოკრატების მონაწილეობით, მიუხედავათ იმისა, რომ კრებას დაესწრნენ აგრეთვე ნაროდოვცებიც სახალხო სოციალისტებმა განაცხადეს, რომ იმათ გადაწყვეტილი აქვთ შეუერთდნენ სოც.-რევოლიუციონერებს, ტრუდოვიკებს, კადეტებს, პოლონეთის კოლოს და მუსულმანთა ფრაქციის გადაწყვეტილებას, არ გაამწვავონ საქმე და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის განცხადება მიიღონ უდემონსტრაციოთ და მიიღონ ფორმულა მორიგ საქმეებზე გადასვლის შესახებ. სოც.-დემოკრატები დასთანხმდენ ამას იმ პირობით კი, რომ პრემიერის სიტყვის შემდეგ, ს.-დ. ორატორებმა გამოსთქვან თავიანთი აზრი სამინისტროს მოქმედებაზე.—ამის შესახებ კამათი გამწვავდა. ყველა ოპოზიციებმა ერთხმათ დაჰგმეს სოც.-დემ. ტაქტიკა, რომლითაც ისინი ითვისებენ უფლებას ილაპარაკონ მთელი ხალხის სახელით. კამათი დამთავრდა. სოც.-რევ. წინადადება, რომ, თუ სოც.-დემოკ. არ მოისურვებენ შეუთანხმონ თავისი ტაქტიკა ყველა ოპოზიციების ტაქტიკას და, მაინც და მაინც, ისურვებენ პრემიერის სიტყვის შემდეგ, შეეხნენ სამინისტროს მოქმედებას და ყველა ოპოზიციების სახელით მოითხოვონ კამათის შეწყვეტა,—დამსწრეთ მიიღეს ხანგრძლივ ტაშის ცემით. ამგვარმა ზომამ უნდა მიახწიოს თავის მიზანს, რადგანაც, ნაკაზის ძალით, კამათის გასაგრძელებლათ საჭიროა არა ნაკლებ 50 ხმისა და სოც. დემოკრატებს კი მხოლოდ 47 ხმა აქვსთ. თუ სოც.-დემოკრატები მაინცდამაინც მოინდომებენ, რომ იმათგან თუნდ ერთმა ორატორმა მაინც ილაპარაკოს პირველათ, ყველა ოპოზიციები დასტოვებენ ზალას და ამით თავმჯდომარეს აიძულებენ დახუროს კრება და არ მისცეს სოც.-დემ. ორატორს სიტყვის თქმის ნება.

— თავადმა დოლგორუკოვმა, კრების დახურვის დროს, სოც.-დემ. ფრაქციას წინადადება მისცა გადასინჯონ თავიანთი გადაწყვეტილება და 1 მარტამდის აცნობონ მას ინფორმაციონულ ბიუროს საშუალებით უკანასკნელი პასუხი.

— შესდგა მუსულმანების ფრაქცია კადეტებისა და ოქტომბრისტების საშუალო პროგრამით. ფრაქციაში შედის 40 წევრამდე.

— 2 მარტს, საღამოს 9 საათზე, დანიშნულია სახელმწიფო საბჭოს საგანგებო კრება მთავრობის განცხადებების მოსასმენათ.

— დილის 5 საათს და 40 წამს ტავრიდის სასახლეში სათათბიროს სხდომების ზალის ჭერი ჩამოინგრა. ჩამონანგრევმა ბოძებმა, ფიცრებმა და შტუკარტურამ ზალის ცენტრი ამოავსო. სრულებით ჩამოინგრა ლიუსტრა შუა ზალაში; ფიქრობენ ჩამონგრევა გამოიწვია შენობის სიძველემ. ზალის ჭერ ზევით დადებული იყო სავენტელიაციო მაშინები დიდი ფუქსებით, რომლის სიმძიმემაც, როგორც გამოირკვა, იქონია ძალა და ჭერი ჩამოანგრია. კატასტროფის ადგილას მოვიდნენ ადმინისტრაციისა და სასამართლოს წარმომადგენელნი. ენერგიული გამოძიება სწარმოებს. გაზეთების კორრესპონდენტებს ჯერჯერობით არ უშვებენ.

— უბედურების გამო, სათათბიროს სხდომა დღეს მოხდება ტავრიდის სასახლის ეკატერინეს ზალაში. სხდომის გახსნის წინ, რამდენიმე დეპუტატის თხოვნით, გადაიხდიან სამადლობელ პარაკლის.

**პეტერბურგი. დოლჟენიკოვი.** „დუმის შენობა უნდა გადავიდეს დუმის გამგეობის სრულს უფლებაში. შარშანვე უნდა გადასულიყო დუმის ხელში და ამისათვისაც შესდგა კომისია, რომელშიაც მეც ვიყავი, მაშინ მთავრობის კომისიაც კი არ მალავდა, რომ ზალის ჭერი საიმედო არ არის, და მეორე სართული, სადაც ეხლა მშრომელთა ჯგუფის ადგილია, არ იყო საიმედო და დანგრევას ლამობდა. ამისთვისაც ჩვენ დიდის სიფთხილით ვახდენდით სხდომებს: 80—100 კაცზე მეტს აღარ უშვებდით ამ ზალაში სხდომებზე დასასწრებლათ. ტავრიდის სასახლის შესაკეთებლათ შარშან გადადებული იყო დიდძალი ფული, თუ არ ვსცდები 900 ათასი მანათი; ცხადია, ეს ფული არ ეყოფოდა და ამიტომაც გადაიდო კიდევ 110 ათასი მანათი, მაგრამ შენობის კომმისიას, რომელმაც იცოდა საქმის გარემოება და ჭერის უვარგისობა, არ მიუქცევია ყურადღება. შეიძლება ეს ანგარიშშიაც ითვლებოდა... მაგრამ ამ ავარი ანგარიში ულმობელია! ეს მოხდა სხდომის დროს, როდესაც დუმის ნახევარი... (ხმაურობაა). მე ბოდიშს ვითხოვ, ბატონებო, თუ ცოტა შორს წავედი. მე ამას ვამბობ იმიტომ, რომ დუმის შენობა, უნდა გადავიდეს თვით დუმისვე გამგეობაში. ჩვენ უნდა დავატანოთ ძალა, რომ, ჭერის ჩამონგრევის საქმის გამოძიების დროს, უეჭველათ დაესწრნენ ექსპერტები დუმის მხრივ. გარდა ამ მიზეზების გამოკვლევისა დეპუტატებმა უნდა მონაწილეობა მიიღონ დუმის შენობის შეკეთების დროსაც და თვალყური ადევნონ მის გაკეთებას, რომ ჩვენი სიცოცხლე უზრუნველვყოთ; დიახ, პრეზიდიუმმა გამოუცხადოს სასახლის მინისტრს, რომ, გადაკეთების დროს და აგრეთვე გამოძიების დროსაც, ჩვენი მონაწილეობის მიღება შეადგენს აუცილებელ საჭიროებას. ეს სხდომა უნდა დაიხუროს" **კაპუსტინი:** „ამ პირობებში დუმის სხდომების გაგრძელება შეუძლებელია. მე უერთდები კადეტების წინადადებას, სხდომის შეწყვეტის შესახებ და უნდა ვსთხოვოთ პრეზიდიუმს დუმის წევრების წარმომადგენლებთან ერთათ, რომელთაც აქვსთ ტეხნიკური ცოდნა, გამოიკვლიონ შემთხვევის მიზეზები და მიიღონ ზომები, რომ დუმას შეეძლოს შეიკრიბოს სხვაგან".—(ხანგრძლივი ტაშის ცემაა)

**ივაშჩენკო:** „უნდა გამოუცხადოთ ულრმესი მადლობა პრეზიდიუმს, რომ ის მიჰხვდა მეცადინეობის გაგრძელების საჭიროებას და ამ ოთახში შეგვკრიბა— პეტრეს მცნებაა—„დროს დაკარგვა – სიკვდილს უდრისო". წინადადება შემომაქვს —განვაგრძოთ სხდომა".

**ალექსინკი:** „წინადადებას ვიძლევი გამოვძებნოთ უფრო მჭიდრო, უფრო საიმედო შენობა პეტერბურგში, თუნდაც რომ ეს შენობა ეკუთვნოდეს პოლიციის დეპარტამენტს, საქალაქო დუმას და სხვა ამ გვარებს და იქ განვაახლოთ სხდომები. ხალხი ელის—რას ეტყვიან მათ მათივე წარმომადგენლები. თუ ხალხმა გაიგო, რომ თავზედ ჭერი გვენგრევა, ის აქედან გამოიყვანს შესაფერ დასკვნას."

**კრუპენსკი:** თუ მოიპოვებიან იმისთანა პირნი, რომელთაც არ შეუძლიანთ მოისმინოთ კამათი, სხდომის გაგრძელება შეუძლებელია. მე არ მსურს მოვისმინო ის ტალახიანი ინსუნიაციები, რომლებსაც უდანაშაულოთ ესვრიან ვილაცებს. (ხმაურობაა. თავმჯდომარე ზარს აწკარუნებს) ექვს გარეშეა, რომ სადმე ვიშოვნით ზალას, საიდანაც ჩვენ მოგვისმენს რუსეთის ხალხი, მაშ, ჩვენ ნუ ავყვებით ერთმანეთის მხილებას, დავიწყოთ ერთათ მუშაობა." (ხმაურობაა. ტაშის ცემა მარჯვნივ.)

შულგინის, ბოგდანოვის და ბულაჯის მოკლე სიტყვების წარმოთქმის შემდეგ, თავმჯდომარე აცხადებს, რომ მან მიიღო განცხადება კამათის შეწყვეტის შესახებ და საკითხს კენჭს უყრის. დუმა, ივაშჩენკოს გარდა, ერთხმათ ადგენს სხდომა შესწყვიტონ.

დანგრეული ადგილი ინახულა პროკურორმა. დამოუკიდებელი ხელმძღვანელობა გამოძიებისა მიენდო პეტერბურგის პალატის პროკურორს—კამიშანსკის.

შეერთებული ჯგუფი ზომიერებისა და მემარჯვენებისა, ტავრიდის სასახლის ეკკლესიაში, უბედურებისაგან დახსნის სამადლობელ პარაკლისის შემდეგ, შეიკრიბა საგანგებო სხდომაზე. ორატორები აალევა კიდევ დოლჟენიკოვის და სოც.-დემ. ალექსინსკის ინსინუაციამ, რომელთაც თავის სიტყვებში გაატარეს ის აზრი, რომ ჩამონგრევა მოხდა წინასწარ მომზადებულის განძრახვით და ალაშფოთა ტერორისტულ აქტების გახშირებამ მთელს მხარეში. აგრეთვე საეჭვოთ მიაჩნიათ, რომ მიუხედავათ ზომიერების მიერ მიღებულ ცდისა, შეუძლებელია დუმა დააყენონ მუშაობის და ხალხის შველის გზაზე. კრებამ სთხოვა გლეხთა დეპუტატებს, აუხსნან მემარცხენე ამხანაგებს, რომ დუმაში უნდა დამყარდეს წესრიგი და არ აჰყვნენ ისინი ბომბისტებს და შლეგიანებს, რადგანაც დუმა შესაძლოა გადიქცეს რევოლიუციონურ კათედრად, რაც მთავრობას და ზომიერეას არ მოსდით ჭკუაში. კრებამ დაადგინა აგრეთვე შეეკითხოს მთავრობას ტერორისტულ აქტებისა და უნივერსიტეტში უწესოებების შესახებ.

— ორ მარტისათვის დანიშნული სახელმწიფო საბჭოს სხდომა, მთავრობის ცნობების მოსასმენლათ, გადაიდო.

**პეტერბურგი.** მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, მიიღო-რა სოც.-დემოკრატიულ ურაქციის დეპუტაცია კირიენკოსი და მახარაძის სახით, პოლიციელების მიერ, დუმის წევრის მახარაძის სადგომში, უწესოების ჩადენის შესახებ, განაცხადა, რომ ეს შემთხვევა აცნობა მას გრადონაჩალნიკებმა; პოლიციელების გაგზავნა მახარაძის სახლში გამოიწვია სახლის პატრონის განცხადებამ, რომ მახარაძის სადგომში იმართებოდა მრავალ-რიცხვოვანი კრებები, რის გამოც სახლის პატრონი პასუხის მგებლობაზე უარს აცხადებდა. სახლის პატრონის ამ გვარ განცხადების დასაჯერებლათ, გრადონაჩალნიკმა გაგზავნა პოლიცია. საზოგადოთ კი ყველა დახურულ კერძო კრებაზე გარეშეთა დასწრება შეიძლება მხოლოთ იმ შემთხვევაში, თუ დაცულ იქნა 1905 წლის 4 მარტის კანონი. სახალხო კრებები სოც. დემოკრატების მხრივ, როგორც უკანონო და ამასთანავე ბოროტგანძრახულ მიზნით, შეუძლებელია ნება დართულ იქმნეს და, ყველა ამისთანა შემთხვევის დროს, პოლიცია მოვალეა დახუროს კრება და მონაწილენი—დაატუსაღოს.— საზოგადოებების და კავშირების საქმეების განსაკუთრებულმა გამგეობამ უარი განაცხადა კადეტების პარტიის ლეგალიზაციის მოხდენაზე, რადგანაც მათ პროგრამაში არ არის ნაჩვენები ყველა ის საშუალებები, რომელიც პარტიას დაუსახავს თავის მიზნათ და შესაძლებელია, ის ემსახურება უკანონობას და საზოგადოების მშვიდობიანობის დარღვევას.

— სახელმწიფო დუმის გადაწყვეტილების სისრულეში მოსაყვანათ, დუმამ დანიშნა სამი პარლამენტარული კომისია: პირველი—უბედურების მიზეზების გამოსარკვევათ, მეორე—დუმის შენობის წამხდარ ნაწილების შესაკეთებლათ, მესამე—საჭიროების დროს დუმის სხდომებისთვის დროებითი შენობის გამოსაძებნათ. პირველმა კომისიამ გადაჭრით უარჰყო, რაიმე წინასწარი შეთქმულობა; მეორემ,—მიუხედავათ არქიტექტორის ბრუნის აზრისა, რომ შვიდ მარტისათვის შენობის რემონტი დასრულებული იქნება, აღიარა, რომ, ჭერის შეკეთების გარდა, უნდა შეკეთდეს ეკატერინეს ზალა, ჩაის ბუფეტი და სხვა შენობებიც, რაც ორ-სამ კვირას გასტანს. მესამე კომისია ფიქრობს 3 მარტს დაათვალიეროს მიხაილოვსკისა და მარიინის თეატრების შენობები, თავადაზნაურთა საკრებულო და სახალხო სახლი.—იუსტიციის მინისტრმა, იოსებ გესსენთან საუბარის დროს, გამოსთქვა, რომ მეორე დუმა ხანგრძლივი იქნება და ცხოვრებაში გაატარებს კანონ-პროექტებს. მინისტრის აზრით, პირველათ უნდა განიხილონ რეფორმების კანონ-პროექტი.—კადეტების პარლამენტარულმა ფრაქციამ გადასწყვიტა დუმის სხდომების გახსნამდის ისარგებლოს დროთი და შეუდგეს კანონების მომზადებას. დანიშნულია ბიუჯეტის, მუშათა საკითხის, კანონმდებლობითი, აგრარულის, გლეხებისა და სხვა შესაფერ კანონმდებლობითი კომისიების სხდომები.

რედაქტორ-გამომც. მ. **კვაჭაძე.**


## განცხადებანი.

ბეჭდვითი სიტყვის მუშათა პროფესიონალური საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ მან გახსნა

# კანტორა

სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურობის ქარვასლაში, № 119 მეორე სართულზე. სადაც მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერონ საზოგადოების წევრათ. აქვე უნდა ჩაეწერონ უადგილო მუშები ამ ხელობისა.

**კანტორა ღიაა დილის 9 საათიდან საღამოს 7 საათამდე.**


სტამბა „საქმე" მიხაილოვის პრ. № 40.